საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ინსპექტირების ანგარიში

<table>
<tr><td>ვიზიტის თარიღი</td><td colspan="5">15.05.2017 – 21.05.2017</td></tr>
<tr><td>ინსპექტორები</td><td colspan="5"></td></tr>
<tr><td>საწარმოს დასახელება<br>ს/კოდი</td><td colspan="5">შპს „საქნახშირი“ (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)<br>ს/კ 230868120</td></tr>
<tr><td>საქმიანობის სფერო</td><td colspan="5">სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, გადამუშავება<br>ქვანახშირის მოპოვება.</td></tr>
<tr><td>მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ./ელ. ფოსტა)</td><td colspan="5">ქ.ტყიბული თაბუკაშვილის N13</td></tr>
<tr><td>დაწესებულების ხელმძღვანელი ტელეფონი</td><td colspan="5"></td></tr>
<tr><td rowspan="2">დასაქმებულთა რაოდენობა</td><td>სულ</td><td>ქალი</td><td>კაცი</td><td>18 წლამდე</td><td>შშმ პირი</td></tr>
<tr><td>1404</td><td>109</td><td>1295</td><td>0</td><td>0</td></tr>
<tr><td>შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვაზე პ/პირი</td><td colspan="5"></td></tr>
<tr><td>საწარმოო ტრავმატიზმის აღრიცხვა</td><td colspan="5">წარმოებს</td></tr>
</table>

| დარღვევა/საფრთხე | რეკომენდაცია |
| --- | --- |
| **მიმიგურისა და მინდელის სახელობის შახტები** | |
| ვაგონების სამუხრუჭედ ბუნიკების ნაცვლად გამოიყენება ფიცრის ნაჭრები | აიკრძალოს ფიცრის ნაჭრების გამოყენება და სამუხრუჭედ გამოიყენონ სპეციალურად ამ მიზნისთვის განკუთვნილი ბუნიკები (ბაშმაკები) |
| შახტის გვირაბებში შეინიშნება ჭერის დაზიანება, რაც საფრთხეს უქმნის დასაქმებულებს. | შერემონტდეს ჭერზე რიგ ადგილებში არსებული დაზიანებები. |
| შახტის რიგ ადგილებში მოსაწესრიგებელია სანიტარიული პირობები, არ არსებობს ტუალეტები. | ჭაურების ახლოს მიწისქვეშა გამონამუშევრებში და მიწისქვეშა ტრანსპორტის მოსაცდელ ადგილებში მოწყობილი უნდა იყოს სტაციონარული ტუალეტები, 50 მუშაკზე ერთი ერთეულის გათვლით. |
| შახტში არსებული მაღალი ძაბვის ქვესადგური დაუცველია გარეშე პირთა შეღწევისაგან, არ არის განათება, ერთ მხარეს არსებული კარი ღიაა, ხოლო მეორე მხარე კარის გარეშეა. | ქვესადგურში დამონტაჟდეს შესაბამისი განათება. ქვესადგურებს უნდა ჰქონდეს გისოსიანი კარი ჩამკეტი მოწყობილობით. კამერაში მომსახურე პერსონალის არყოფნის შემთხვევაში კარი უნდა იყოს დაკეტილი. |
| ქვესადგურში დასაქმებულები არ არიან უზრუნველყოფილი შესაბამისი დიელექტრიკული საშუალებებით. | ქვესადგურში დასაქმებულები მომარაგდნენ დიელექტრიკული საშუალებებით, (ჩაფხუტი,ბოტი,ხელთათმანი,ხალიჩა). |
| სასკიპე ჭაურის სამანქანო კამერაში ადამიანების სიმაღლიდან ვარდნის ადგილები არ არის შემოღობილი და დაცული შესაბამისად. | სასკიპე ჭაურის სამანქანო კამერაში სადაც არსებოს ადამიანების ვარდნის საფრთხე აღიჭურვოს შესაბამისად მყარი მოაჯირებით და მოწესრიგდეს კიბის საფეხურები. |
| სამანქანოში არსებული ელექტრო ფარი არ არის შეფუთული/დაკეტილი დადგენილი წესით და არ გააჩნიათ დიელექტრიკული საშუალებები. | ელექტრო ფარები დაიკეტოს/შეიფუთოს შესაბამისად და შეუღწევადი იყოს გარეშეპირთათვის ასევე აღიჭურვოს დიელექტრიკული საშუალებებით. |
| რიგი სამუშაო უბნები და ადგილები არ არის მომარაგებული პირველადი დახმარების საშუალებებით აღჭურვილი სააფთიაქო ყუთებით. | სამუშაო უბნები და ადგილები მომარაგდეს პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებებით აღჭურვილი სააფთიაქო ყუთით. |
| შახტის გვირაბებში და სამუშაო უბნებზე არადამაკმაყოფილებელია განათება. | შახტის ყველა სამუშაო და სარემონტო ადგილი უნდა იყოს განათებული. |
| 400 ნიშნულის დამხმარე ჭაურის ლიფტის კარები და ბაქანი მოსაწესრიგებელია, რათა გამოირიცხოს ადამიანების ვარდნის საფრთხე. | ბაქანი მოეწყოს ისე რომ თავიდან იქნას აცილებული ადამიანის ვარდნა და მოხდეს კარის ავტომატიზირებული გაღება-დაკეტვა. |

| | |
|---|---|
| შახტაში მოძრავ ზოგიერთ ელმავლს არ გააჩნია მემანქანისთვის განკუთვნილი სკამი, ხოლო სამგზვრო ვაგონები არ არის მოწყობილი სტანდარტის შესაბამისად | ელმავლებზე დამონტაჟდეს მემანქანეებისათვის საჭირო სკამი. სამგზავრო ვაგონების დასაჯდომები დაიფაროს სითბოიზოლირებელი მასალით |
| შახტაში დარღვეულია ღია ცეცხლის გამოყენების წესი. რიგ ადგილებში დაფიქსირდა ჟანგბადის ბალონები. | აკრძალულია ღია ცეცხლით სარგებლობა გვირაბებში და საშახტო ინფრასტრუქტურულ გამონამუშევრებში. |
| მინდელის შახტის 300 ნიშნულის აღმოსავლეთ საველე შტრეკში სავენტილაცო მილი და ელექტრო კაბელები ერთ მხარესაა განთავსებული | აკრძალულია გვირაბის ერთ მხარეს ელექტროკაბელების და სავენტილაციო მილსადენის გაყვანა. |
| კვერშლაგში გვირაბის სიმაღლიდან გამომდინარე დასაქმებულებს უწევთ მოუხერხებელ სამუშაო პოზაში გადაადგილება/მუშაობა. | მუხლებზე დგომით და მწოლიარე სამუშაოების შესრულებისას აუცილებელია მომუშავეთა უზრუნველყოფა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (სამუხლეები, საიდაყვეები და სხვ). |
| ჩამყრელ ბუნკერთან დასაქმებულებს არ აქვთ ინდივიდუალურინ დაცვის საშუალებები ( სათვალე და რესპირატორი). | დასაქმებულები აღიჭურვონ სამუშაო ხასიათიდან გამომდინარე შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. |
| გადამყირავებელ უბნებზე არ არის დამონტაჟებული ასპირაციული სისტემები. | გადამყირავებელ უბანზე დამონტაჟდეს ასპირაციული სისტემები. |
| გალში არ არის კავშირის საშუალებები. | ადამიანების ამწევი და ჩასაყვანი გალები აღჭურვილი უნდა იყოს სამანქანო განყოფილებასთან კავშირის საშუალებით. |
| შახტაში დასაქმებულები არ არიან აღჭურვილი ინდივიდუალური მათარებით. | დასაქმებულები, რომლებსაც მუშაობა უწევთ შახტაში აღიჭურვონ მინიმუმ 0.75 ლ ტევადობის ინდივიდუალური მათარებით/თერმოსებით. |
| შახტებში გამოიყენება არაქარხნული წესით დამზადებული ხის კიბეები. | არაქარხნული წესთ დამზადებული ხის კიბეები ჩანაცვლდეს ქარხნული წესით დამზადებულით. |
| შახტში დასაქმებულები არ არიან აღჭურვილი შესაბამისი რაოდენობის სპეცტანსაცმლით, ფიქსირდება შეუსაბამო სპეცტანსაცმლით მუშაობა | დასაქმებულები მომარაგდნენ შესაბამისი რაოდენობის სპეცტანსაცმლით და განხორციელდეს კონტროლი მათ გამოყენებაზე |
| დასაქმებულები არ არიან უზრუნველყოფილნი სანიტარიულ-პროფილაქტიკური გამჯანსაღებელი კომპლექსური ღონისძიებებით. კერძოდ, საწარმოო კომბინატის შემადგენლობაში არ არის გათვალისწინებული ფსიქოლოგიური განტვირთვის ოთახი აუტოგენური ვარჯიშისა და რელაქსაციის სეანსებისათვის. | დაინერგოს და გატარდეს შესაბამისი პროფილაქტიკური გამაჯანსაღებელი ღონისძიებები. |
| არ არის მოწყობილი სპეცტანსაცმლის გაუმტვერიანების სათავსო, ფოტორიუმი და საინჰალაციო ოთახები | მოეწყოს სპეცტანსაცმლის გაუმტვერიანების სათავსო , ფოტორიუმი და საინჰალაციო განყოფილება |

| შახტის ზედაპირი | |
|---|---|
| დეპოს შენობა მოსაწყობია სახურავიდან ჩამოდის წყალი და მოსაწესრიგებელია, არ აქვთ შესაბამისი სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო ფართები. | შეკეთდეს დეპოს შენობის სახურავი და მოეწყოს სანიტარიული და საყოფაცხოვრებო ფართები. |
| რიგ ადგილებში დარღვეულია ელექტრო უსაფრთხოება. | მოეწყოს და მოწესრიგდეს ელექტრო კაბელები და ელგაყვანილობები. |
| **დარღვეულია ჟანგბადის** ბალონების **ექსპლუატაციის წესები.** | ჟანგბადის ბალონები განთავსდეს ლითონის კონტეინერში ან გისოსებში. |
| მოსაწესრიგებელია სახანძრო უსაფრთხოება (გადასამუხტია ცეცხლმაქრები). | მოწესრიგდეს სახანძრო უსაფრთხოების წესები და გადაიმუხტოს ცეცხლმაქრები შესაბამისი სამსხაურის მიერ. |
| აკუმლატორების დასამუხტი ოთახიდან სახურავზე ასასვლელ კიბეს არ აქვს მოაჯირები. | დამონტაჟდეს სახურავზე ასასვლებ კიბეებზე მოაჯირები რათა გამოირიცხოს დასაქმებულების სიმაღლიდან ვარდნა. |
| სალამპე განყოფილებაში,მედ პუნქტში და სამზარეულოში გამოიყენება კუსტარულად დამზადებული ღია სპირალიანი გამათბობელი. | ღია სპირალიანი გამათბობელი შეიცვალოს ქარხნული წესით დამზადებულით. |
| მექანიკურ საამქროში მოსაწესრიგებელია ვენტილაცია. | მექანიკური საამქრო სრულად აღიჭურვოს სავენტილაციო სისტემით. |
| მაქნანა-დანადგარების მბრუნავი მექანიზმები დამცავი ფარების გარეშეა და არ აქვს ლოკალური განათება. | დამონტაჟდეს მაქნანა-დანადგარების მბრუნავ მექანიზმებზე დამცავი ფარები და მოეწყოს ლოკალური განათება. |
| საამქროში დასაქმებულები არ არიან სრულად აღჭურვილნი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. | საამქროში დასაქმებულები აღიჭურვონ სრულად ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით სამუშაოების შესაბამისად. |
| საამქროები არ არის მომარაგებული პირველადი დახმარების საშუალებებით აღჭურვილი სააფთიაქო ყუთებით. | საამქროები და ყველა სამუშაო უბანი მომარაგდეს პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებებით აღჭურვილი სააფთიაქო ყუთით. |
| ზედაპირული კომპლექსის კონვეირის სატრანსპორტიორო ლენტა არ არის მოწყობილი შესაბამისად. კერძოდ, არ არის ასპირაციული გადახურვებით და მტვრის გაწმენდის სისტემებით აღჭურვილი. | კონვეირის ლენტი აღიჭურვოს დამცავი ფარებით და ასპირაციული სისტემებით. |
| კონვეირის მიმდებარე ტერიტორია არასაკმარისადაა განათებული. | მოეწყოს კონვეირის მიმდებარე ტერიტორიაზე საკმარისი განათება. |
| ბუნკერის შენობა სარემონტოა, იატაკის საფარველი არაერთგვაროვანია, კედლები დაზიანულია, არსებობს აგურების ვარდნის საფრთხე, კიბის მარშები დაზიანებულია, არსებობს დასაქმებულის ჩავარდნის/ტრავმირების საფრთხე. | საწარმოო უბნებს ჩაუტარდეს კეთილმოწყობითი სარემონტო სამუშაოები. კერძოდ, აღსდგეს იატაკის საფარველის მთლიანობა, შეილესოს კედლები და ჭერი, შერემონტდეს კიბის უჯრედები, სამუშაო სივრცეებში მოეწყოს კოლექტიური დაცვის საშუალება-ხელოვნური სავენტილაციო სისტემები. |

| | |
|---|---|
| საქვაბე მეურნეობა საჭიროებს სარემონტო სამუშაობის ჩატარებას. საქვაბეში მოქმედი ღუმელი დაზიანებულია, მისასვლელი გზა მოსაწესრიგებელია. | საქვაბე მეურნეობას ჩაუტარდეს სარემონტო სამუშაობი და გარემონტდეს დაზიანებული ღუმელები. ასევე მოწესრიგდეს საქვაბესთან მისასვლელი გზა. |
| საქვაბეში დასაქმებული პერსონალი არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი სპეც. ტანსაცმლით და იდს-ებით. აგრეთვე სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო ფართებით პერსონალის მოსასვენებელი ადგილით და სასმელი წყლით. | საქვაბეში დასქმებულები არ არიან უზრუნველყოფილი შესაბამისი სპეც. ტანსაცმლითა და იდს-ებით. მოსაწესრიგებელია სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო და მოსასვენებელი ფართები. |
| საქვაბეში მოსაწყობია ვენტილაცია. არადამაკმაყოფილებელია მიკროკლიმატი. | საქვაბეში მოეწყოს ვენტილაციის სისტემა, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამუშაო გარემოს ოპტიმალური მიკროკლიმატი |
| სახეხრხი საამქრო არ არის უზრუნველყოფილი სასმელი წყლით და სანიტარიულ - საყოფაცხოვრებო ფართებით. | საამქრო მომარაგდეს სასმელი წყლით და მოეწყოს სანიტარიულ- საყოფაცხოვრებო ფართები. |
| სახერხი საამქრო არ არის აღჭურვილი სავენტილაციო სისტემებით. დაზგა-დანადგარებზე არაა მოწყობილი ადგილობრივი ასპირაციული მექანიზმები. | საამქროში მოეწყოს სავენტილაციო და ლოკალური ასპირაციული სისტემები. |
| სახერხის იატაკზე ფიქსირდება ღიობები და ნაპრალები. | იატაკი მოეწყოს მაქსიმალურად უსაფრთხოდ რათა თავიდან იქნას აცილებული ვარდნის და წაბორძიკების საფრთხე. |
| სახერხ საამქროში ელექტროობა მოუწესრიგებელია - არაა დადგენილი წესით შეფუთული. | ელექტროსადენების გადაბმები შეიფუთოს შესაბამისი წესით. |
| სახერხში დასაქმებულები არ არიან უზრუნველყოფილნი შესაბამისი სპეც. ტანსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. | საამქროში მდასაქმებულები აღიჭურვონ შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და დაწესდეს კონტროლი მათ გამოყენებაზე. |
| ამწე მოწყობილობა მუშაობს სპეციალური სიგნალის გარეშე. | ამწეზე დამონტაჟდეს მაფრთხილებელი სასიგნალო მოწყობილობა. |
| ამწის მემანქანის კაბინა მოსაწყობია სტანდარტის შესაბამისად. | კაბინა მოეწყოს სტანდარტის შესაბამისად. |
| სახერხ საამქროში ჯალამბრის ბაგირის გადაბმის წესი არ შეესაბამება სტანდარტებს. | მოწესრიგდეს ჯალამბარი, მოხდეს ბაგირის შესაბამისი წესით ჩაბმა. |
| ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებული საევაკუაციო გეგმა და მიმართულების ნიშნები არ არის სტანდარტის შესაბამისი. | საევაკუაციო გეგმა მოეწყოს სტანდარტის შესაბამისად. |
| როგორც მინდელის ასევე ძიძიგურის სახელობის შახტების მედპუნქტში არ არის სასმელი წყალი. | უზრუნველყოფილ იქნას მედ-პუნქტის სასმელი წყლით მომარაგება. |

| | |
|---|---|
| სამზარეულოს კედლები ნესტიანია და არსებობს კედლის ნალესის ჩამოშლის აგრეთვე ალერგიული რესპირატორული დაავადებების საფრთხე. | მოხდეს დაზიანებული კედლის საფარის ჩამოშლა და კოსმეტიკური რემონტის ჩატარება |
| სამზარეულოს არ გააჩნია სტანდარტების შესაბამისი ჩანები და არსებული ჩანებიც არ მუშავდება შესაბამისი წესით. | სამზარეულო აღიჭურვოს შესაბამისი რაოდენობის ჩანებით, რათა მოხდეს ჭურჭლის და საკვები პროდუქტების ცალ ცალკე რეცხვა. საკვები ჩანების გაწმენდა დასუფთავება განხორციელდეს შესაბამისი წესით. |
| სამზარეულოში არ არის ცეცხლმაქრები | სამზარეულო მომარაგდეს შესაბამისი ტიპის ცეცხლმაქრებით. |
| სატრანსპორტო განყოფილებაში დარღვეულია ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოების წესები. | სატრანსპორტო განყოფილებაში სრულად მოწესრიგდეს სახანძრო და ელექტრო უსაფრთხოება. |
| საწყობში ადვილად აალებადი და კაუჩუკი/რეზინის მასალები ერთადაა განთავსებული. | აკრძალულია ერთ სათავსში კაუჩუკთან ან ავტომობილის საბურავებთან ერთად რომელიმე სხვა მასალის და საქონლის შენახვა. |
| სატრანსპორტო განყოფილება არ არის უზრუნველყოფილი სან. წერტილებით. | სატრანსპორტო განყოფილებაში მოეწყოს სან. წერტილები და განყოფილება მომარაგდეს სასმელი წყლით. |
| ტრანსფორმატორების განყოფილებაში არ არის ცეცხლმაქრები, დიელექტრიკები და კარი არ არის ჩაკეტილი. | ტრანსფორმატორების განყოფილება აღიჭურვოს შესაბამისი რაოდენობის და კლასის ცეცხლმაქრებითა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (დიელექტრიკული ხალიჩა, ბოტები, ხელთათმანები) |
| ზედაპიზე გამოიყენება არა ქარხნული წესით დამზადებული ხის კიბეები. | არაქარხნული წესით დამზადებული ხის კიბეები ჩანაცვლდეს ქარხნული წესით დამზადებულით. |

## ჟანგბადის ბალონების საამქრო

| | |
|---|---|
| საზეინკლო საამქროში მანქანა დანადგარების მბრუნავ მექანიზმებს არ აქვთ დამცავი ფარები და ხუფები. | მანქანა-დანადგარების მბრუნავი მექანიზმები აღიჭურვოს დამცავი ხუფებით და ფარებით. |
| დასაქმებულები არ არიან უზრუნველყოფილი დიელექტრიკული საშუალებებით. | მოხდეს დასაქმებულთა მომარაგება შესაბამისი დიელექტრიკული საშუალებებით. |
| ჟანგბადის ბალონების ჩატვირთვის უბანზე არ არის ბალონების გადასაზიდი ურიკები. | ჩატვირთვის უბანი აღიჭურვოს ბალონების გადასატანი სპეციალური ურიკით. |

| | |
|---|---|
| შენობა-ნაგებობა საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს (ჭერის შეკეთება და კოსმეტიკური რემონტი). | შენობა-ნაგებობებს ჩაუტარდეს სარემონტო სამუშაოები. |
| დასაქმებულები არ არიან უზრუნველყოფილი საყოფაცხოვრებო ფართბით და სველი წერტილებით (აბანო გასახდელები, სასადილო ოთახი, სასმელი წყალი) . | დასაქმებულები უზრუნველყოფილ იქნენ საყოფაცხოვრებო ფართებით, სველი წერტილებით და სამელი წყლით. |
| საამქროში დასაქმებულები არ არიან აღჭურვილი ხმაურისაგან დამცავი საშუალებებით. | აღიჭურვონ დასაქმებულები ხმაურისაგან დამცავი საშუალებებით. |
| საამქრო არ არის უზრუნველყოფილი დასალაგებელი ინვენტარით და სამეურნეო საშუალებებით (ცოცხი, აქანდაზი, ჰიგიენური საშუალებები, ნათურები და სხვა). | გამოიყოს საამქროში დასაქმებულთათვის საინვენტარო და სამეურნეო საშუალებები.(ცოცხი, აქანდაზი, ჰიგიენური საშუალებები, ნათურები და სხვა). |
| საამქროში დასაქმებულ ოპერატორებს უწევთ დამატებით სამუშაოს შესრულება კერძოთ დალაგება დასუფთავება. | საამქროში გამოიყოს ცალკე დასაქმებული პირი დალაგება დასუფთავებითი სამუშაოებისათვის. |
| **ცენტრალური გამადიდრებელი ფაბრიკა** | |
| დასაქმებულებს არ უტარდებათ ინსტრუქტაჟები შრომის უსაფრთხოების საკითხებში. | დასაქმებულებს ჩაუტარდეთ ინსტრუქტაჟები შრომის უსაფრთხოების საკითხებში და მოხდეს მისი დაფიქსირება დოკუმენტურად. |
| საწყობში ადვილად აალებადი და კაუჩუკი/რეზინის მასალები ერთადაა განთავსებული. | აკრძალულია ერთ სათავსში კაუჩუკთან ან ავტომობილის საბურავებთან ერთად რომელიმე სხვა მასალის და საქონლის შენახვა. |
| დარღვეულია სახანძრო უსაფრთხოება. | მოსაწესრიგდეს სახანძრო უსაფრთხოება. |
| სიმაღლეზე მუშაობისას დასაქმებულები არ არიან აღჭურვილი სიმაღლიდან ვარდნისაგან დამცავი ღვედებით . | დასაქმებულები რომლებსაც უწევთ სიმაღლეზე სამუშაოების ჩატარება მომარაგდნენ სიმაღლეზე მუშაობისათვის შესაბამისი დამცავი ღვედებით და დაწესდეს მკაცრი კონტროლი მათ გამოყენებაზე. |
| დასაქმებულები არ არიან აღჭურვილი შესაბამისი სპეც. ტანსაცმლით, საწვიმარებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. | დასაქმებულები აღიჭურვონ შესაბამისი სპეც. ტანსაცმლით, საწვიმარებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. |
| კონვეირის მბრუნავი მექანიზმები დამცავი ხუფების გარეშეა. | კონვეირის მბრუნავი მექანიზმები აღიჭურვოს დამცავი ხუფებით. |

| | |
|---|---|
| ფაბრიკის სხვადასხვა სიმაღლეებზე და სართულებზე დარღვეულია იატაკის საფარველის მთლიანობა და მოაჯირები არასრულადაა. | ყველა სიმაღლეზე და სართულზე მოეწყოს მყარი მოაჯირები და მოწესრიგდეს იატაკი საფარით რათა თავიდან იქნას აცილებული სიმაღლიდან ვარდნა. |
| ლაბორატორია არ არის უზრუნველყოფილი სასმელი წყლით | ლაბორატორია მომარაგდეს სასმელი წყლით ცენტრალიზებული წესით ან დაიდგას სასმელი წყლის სტაციონარები |
| ელექტროსადგურში არ არის დიელექტრიკული საშუალებები. | ელექტროსადგური მომარაგდეს შესაბამისი დიელექტრიკული საშუალებებით. |
| ელექტროსადგურში გამოიყენება კუსტარულად დამზადებული ღია სპირალიანი გამათბობელი. | ღია სპირალიანი გამათბობელი შეიცვალოს ქარხნული წესით დამზადებულით. |
| აბანო გასახდელში მოსაწესრიგებელია ვენტილაცია. | აბანო გასახდელებში მოეწყოს სავენტილაციო სისტემები. |
| ფაბრიკის ტერიტორიაზე გამოიყენება არა ქარხნული წესით დამზადებული ხის კიბეები. | არაქარხნული წესთ დამზადებული ხის კიბეები ჩანაცვლდეს ქარხნული წესით დამზადებულით. |

*შპს „საქნახშირი" (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)-ს შახტებში, შახტის ზედაპირებზე, გამამდიდრებელ ფაბრიკაში, ჟანგბადის ბალონების საამქროში და ყველა ობიექტზე შემუშავდეს და დაინერგოს როგორც რისკების შეფასებისა და საფრთხეების იდენტიფიცირების ასევე, პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მართვის სისტემები.*

*შახტების მედპუნქტში გაიმიჯნოს ექიმთა და ექთანთა ფუნქცია მოვალეობები. დამოუკიდებელი საექიმო მომსახურეობის გაწევა დაევალოს მხოლოდ ლიცენზირებულ ექიმს.*

**მარეგულირებელი დოკუმენტები:**

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება №449 ნახშირის შახტების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.

2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №78/ნ მძიმე მრეწველობის ზოგიერთი ტიპის საწარმოს მოწყობის, აღჭურვისა და ექსპლუატაციის სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ.

3. საქართველოს მთავრობის დადგენილება № 79 ჰაერის დაყოფის პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.

4. საქართველოს მთავრობის დადგენილება №370 სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.

5. მადნეული და არამადნეული სასარგებლო წიაღისეულის სამსხვრევ-სახარისხებელი, მამდიდრებელი, სააგლომერაციო და მომგუნდავებელი ფაბრიკების უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე. №1-1/609 2007 წლის 17 აპრილი.

6. საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს შრომის კოდექსი თავი VIII შრომის პირობების დაცვა. მუხლი 35. უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უფლება.

7. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (**ILO**), შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მართვის სისტემების **ILO–OSH 2001**_ის სტანდარტი. http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_protect/---protrav/---safework/documents/normativeinstrument/wcms_107727.pdf

**ინსპექტორები:**

[redacted]

შპს „საქნახშირი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)"

[redacted]

8. დაარსების თარიღი ______

წელი

9. ბოლოს ჩატარებული კაპიტალური რემონტის თარიღი ______
(წელი, თვე, რიცხვი)

10. დასაქმებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობა

| ქალი | მამაკაცი | მოზარდი(16-18 წლამდე) | არასრულწლოვანი 16 წლამდე | სულ |
|---|---|---|---|---|
| 109 | 1295 | 0 | 0 | 1404 |

11. არასამრეწველო მუშების რაოდენობა ______

12. საწარმოო ტექნოლოგიის შესაბამისად წარმოებული პროდუქციის/პროდუქტის დასახელება

ძირითადი
1. ქვანახშირი
2. ........................................
3. ........................................

დამატებითი
1. ........................................
2. ........................................
3. ........................................

13. სფერო, რომელსაც მომსახურება/წარმოება მიეკუთვნება

| | | | |
|---|---|---|---|
| განათლება/მეცნიერება | | მსუბუქი მრეწველობა | |
| სოფლის მეურნეობა | | კვების ინდუსტრია | |
| სამთამადნო მრეწველობა | V | ტრანსპორტი | |
| სამშენებლო მასალების წარმოება | | ავიაცია | |
| ქიმიური მრეწველობა | | კავშირგაბმულობა | |
| მეტალურგია | | ენერგეტიკა | |
| მანქანათმშენებლობა | | ვაჭრობა | |
| ნავთობგადამუშავება | | ტურიზმი | |
| სახელმწიფო თვითმმართველობა | | მასმედია | |
| სამედიცინო ობიექტი | | გამომცემლობა | |
| სამთავრობო ორგანო | | | |

სხვა ........................................................................................................

## II. ჰიგიენა

1. სად მდებარეობს საწარმო?
   ა) დასახლებული პუნქტის გარეთ
   ბ) დასახლებული პუნქტის საზღვარზე
   გ) დასახლებული პუნქტის შიგნით

2. დაცულია თუ არა სანიტარული ზონის სიდიდე?

3. რამდენი საამქროა/უბანია საწარმოში? ______________

4. საამქროების დასახელება
   1.
   2.
   3.
   4.
   5.
   6.
   7.
   8.
   9.
   10.
   11.
   12.

5. საწარმოო გარემოსა და შრომის პირობების რომელი მავნე ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან თითოეულ საამქროში მომუშავე პირები (პროფესიების მიხედვით)?

6. საწარმოო გარემოს მავნე ფაქტორების გაზომვების მონაცემები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში (წარმოადგინეთ არსებული მონაცემები დანართის სახით)

   ა) საწარმოო მტვერი;
   ბ) მავნე ქიმიური ნივთიერებები;
   გ) ხმაური (**მონოტონური, იმპულსური**);
   დ) ვიბრაცია;
   ე) მიკროკლიმატი;
   ვ) განათება (ბუნებრივი, ხელოვნური, კომბინირებული);
   ზ) ელექტრომაგნიტური გამოსხივება;
   თ) ულტრაიისფერი გამოსხივება;
   ი) ლაზერული გამოსხივება;
   კ) ულტრაბგერა;
   ლ) ინფრაბგერა;
   მ) მაიონებელი გამოსხივება;

7. ტარდება ინსტრუქტაჟი წარმოებაში, შრომის უსაფრთხოების საკითხებზე? (თუ არა გადადით მე-9 კითხვაზე);

დიახ ✓ არა

8. ვინ ატარებს შესავალ, პირველად, განმეორებით, რიგგარეშე და მიმდინარე ინსტრუქტაჟს შრომის უსაფრთხოებაზე?

პირველადი, განმეორებითი – შესაბამისი უბნის უფროსი

9. არის თუ არა შინაგანაწესი?

კი

10. დასაქმებულები უზრუნველყოფილნი არიან სამუშაო სივრცეში (ადგილზე) ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით?

ა) არსებული რისკების ანალიზის საფუძველზე?

ბ) ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით სამუშაო პირობების ხასიათის გათვალისწინებით?

11. ხორციელდება კონტროლი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებაზე?

დიახ ✓ არა

12. საამქროები უზრუნველყოფილია სავენტილაციო და სხვა კოლექტიური დამცავი საშუალებებით არსებული წესების გათვალისწინებით?

დიახ არა ნაწილობრივ

13. ობიექტზე არსებობს საჭიროების შემთხვევაში მოქმედი საავარიო სავენტილაციო სისტემა?

დიახ ✓ არა

14. ხდება სპეცტანსაცმლის ცენტრალიზებული რეცხვა?

დიახ ✓ არა

15. რა პერიოდულობით ხდება საამქროების მტვრისგან დასუფთავება?

ა) ყოველი ცვლის შემდეგ;

ბ) დღეში ერთხელ; (circled)

გ) კვირაში ერთხელ.

16. წარმოებაში არსებობს პირველადი ექიმამდელი დახმარების პუნქტი? (თუ არა გადადით მე-18 კითხვაზე)

დიახ ✓ არა

17. პირველადი ექიმამდელი დახმარების პუნქტი უზრუნველყოფილია პირველადი დახმარების საშუალებებით?

დიახ ✓ არა

17.1 პირველადი ექიმამდელი დახმარების პუნქტი უზრუნველყოფილია საველე საკაცით?

დიახ ✓ არა

დიახ ✓ არა

19. საამქროებში დასაქმებულნი არსებული ნორმების შესაბამისად უზრუნველყოფილნი არიან:
   19.1. სანიტარიული წერტილებით
   დიახ ✓ არა
   19.2. საშხაპეებით
   დიახ ✓ არა
   19.3. გასახდელებით/კარადებით
   დიახ ✓ არა
   19.4. სასადილოთი/ბუფეტით
   დიახ ✓ არა

20. გამოყოფილია თამბაქოს მოსაწევი სპეციალური ადგილები?
   დიახ ✓ არა

21. გამოყოფილია დასაქმებულებისთვის შესვენების დროს შესაბამისი დასასვენებელი ადგილი?
   დიახ არა

22. დასაქმებულები უზრუნველყოფილნი არიან სპეციალური კვებით?
   დიახ არა ✓

23. უზრუნველყოფილნი არიან დასაქმებულები შიდა ტრანსპორტით?
   დიახ ✓ არა

24. დაცულია თუ არა პირობები შშმ პირთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის?
   დიახ არა

## III. საწარმოს ქიმიური უსაფრთხოების სისტემა

1. საბოლოო პროდუქტის დასახელება, რომელიც წარმოადგენს ქიმიურ საშიშროებას:
   1.1. ნედლეული:

   1.2. საბოლოო პროდუქტი:

   1.3. ტექნოლოგიური პროცესის დროს წარმოქმნილი პროდუქტი:

   1.4. ნარჩენი:

2. შეესაბამება პროდუქციის ქიმიური შედგენილობა უსაფრთხოების სერთიფიკატს?

   2.1. ნედლეულის დასახელება — სერთიფიკატთან შესაბამისობა
   დიახ არა

   დიახ არა

დიახ ☐ არა ☐

დიახ ☐ არა ☐

დიახ ☐ არა ☐

დიახ ☐ არა ☐

დიახ ☐ არა ☐

2.2. საბოლოო პროდუქტის დასახელება — სერთიფიკატთან შესაბამისობა

დიახ ☐ არა ☐

დიახ ☐ არა ☐

3. **რა ფორმით ხდება ნედლეულის ტრანსპორტირება?**

4. რა ფორმით ხდება საბოლოო პროდუქტის ტრანსპორტირება?
   - რკინიგზა ☐
   - სატვირთო მანქანა ☐
   - სხვა (დაასახელეთ) ☐

5. რომელი აგრეგატული ფორმითაა ნედლეული?
   - მყარი ☐
   - აირი ☐
   - თხევადი ☐

6. **რომელი აგრეგატული ფორმითაა საბოლოო პროდუქტი?**
   - მყარი ☐
   - აირი ☐
   - თხევადი ☐

7. რომელი აგრეგატული ფორმითაა ნარჩენები?
   - მყარი ☐
   - აირი ☐
   - თხევადი ☐

8. ტოქსიკურობის რომელ კლასს მიეკუთვნება ნედლეული?
   I ☐ II ☐ III ☐ IV ☐

9. ტოქსიკურობის რომელ კლასს მიეკუთვნება საბოლოო პროდუქტი?
   I ☐ II ☐ III ☐ IV ☐

10. ტოქსიკურობის რომელ კლასს მიეკუთვნება ნარჩენები?
   I ☐ II ☐ III ☐ IV ☐

12. არსებობს ნარჩენების პასპორტი?

დიახ ☐ არა ☐

13. სად არის განთავსებული ნედლეული?

☐ ღია მოედანი
☐ დახურული მოედანი
☐ შენობის ნაწილი
☐ სპეციალური ნაგებობა
☐ სხვა (დაასახელეთ)

14. სად არის განთავსებული საბოლოო პროდუქტი?

☐ ღია მოედანი
☐ დახურული მოედანი
☐ შენობის ნაწილი
☐ სპეციალური ნაგებობა
☐ სხვა (დაასახელეთ)

15. სად არის განთავსებული ნარჩენები?

☐ ღია მოედანი
☐ დახურული მოედანი
☐ შენობის ნაწილი
☐ სპეციალური ნაგებობა
☐ სხვა (დაასახელეთ)

16. რა სახით ხდება ნარჩენების მოცილება?

☐ დაწვა
☐ ჩამარხვა
☐ გატანა
☐ შენახვა
☐ **სხვა (დაასახელეთ)**

17. რა ფორმით ხდება ნარჩენების გატანა/შენახვა?

☐ დაუზიანებელ ტარაში მარკირებით
☐ დაუზიანებელ ტარაში მარკირების გარეშე
☐ ინახება გაბნეული
☐ **ავტომანქანებით**
☐ სხვა (დაასახელეთ)

18. რა რაოდენობის ნარჩენი გროვდება წელიწადში?

☐ <10 ტ. ☐ 10-დან 100ტ-მდე
☐ 100-დან 1000 ტ-მდე ☐ >1000 ტ

19. ცნობილია თუ არა საწარმოს მიმდებარე დასახლებულ ტერიტორიაზე გამოფრქვეული ქიმიური ნივთიერებების კონცენტრაცია?

**დიახ** ☐ **არა** ☐

**20. არსებობს თუ არა გამწმენდი ნაგებობები ჩამდინარე წყლებისთვის?**

**დიახ** ☐ არა ☐

**21. არსებობს თუ არა გამწმენდი ფილტრი გამოფრქვეული ჰაერისთვის?**

22. ვის უთანხმებს წარმოება გამონაფრქვევის რაოდენობას?

22.1 აქვს თუ არა საწარმოს მისი საქმიანობის განხორციელებისთვის საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსგან მიღებული შესაბამისი ნებართვა?

დიახ ☐ არა ☐

## IV. ეპიდზედამხედველობა

1. საწარმოში ხორციელდება შრომის ჰიგიენური პირობების მონიტორინგი?

   დიახ ☑ არა ☐ (თუ არა, გადადით მე-3 კითხვაზე)

2. ვინ ახორციელებს?

3. ტარდება წინასწარი სამედიცინო შემოწმება?

   დიახ ☑ არა ☐ (თუ არა , გადადით მე-5 კითხვაზე)

4. ვის მიერ? [illegible]

5. ტარდება პერიოდული სამედიცინო შემოწმება?

   დიახ ☐ არა ☑ (თუ არა, გადადით მე-7 კითხვაზე)

6. ვის მიერ?

7. ხდება თუ არა იმ პირთა აღრიცხვიანობა, რომელთაც აქვთ დაავადება?

   დიახ ☐ არა ☑

8. აღინიშნება ინტოქსიკაციის შემთხვევები?

   დიახ ☐ არა ☑ (თუ არა, გადადით მე-12 კითხვაზე)

9. ვის მიერ ხდება აღრიცხვა?

   დიახ ☐ არა ☐

10. ვის მიეწოდება ეს ინფორმაცია?

11. ვინ არის პასუხისმგებელი ინფორმაციის მიწოდებაზე?

12. წარმოებს საწარმოო ტრავმების (უბედური შემთხვევების) აღრიცხვა დადგენილი ფორმით?

    დიახ ☑ არა ☐ (თუ არა, გადადით მე-16 კითხვაზე)

13. ვის მიერ ხდება აღრიცხვა? [illegible]

14. ვის წარედგინება შესაბამისი ინფორმაცია?

    [illegible]

16. აქვთ თუ არა დასაქმებულებს აზბესტთან შეხება (აზბესტის შემცველ ნედლეულთან)?
დიახ არა ✓

17. თუ აქვთ შეხება აზბესტთან, იციან თუ არა აზბესტის მავნე ზემოქმედების შესახებ?
დიახ არა

## V. ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოება

I. ელექტროუსაფრთხოება:

1. არსებობს თუ არა საევაკუაციო გასასვლელი? (თუ არა გადადით მე-5 კითხვაზე)
დიახ ✓ არა

2. თავისუფალია თუ არა საევაკუაციო გასასვლელამდე მისასვლელი გზა ?
დიახ ✓ არა

3. არსებობს თუ არა საევაკუაციო გზამდე მისასვლელი შესაბამისი ნიშანი?
დიახ ✓ არა

4. შუქმაჩვენებლები „საევაკუაციო გასასვლელი" არის თუ არა მუშა და გამართულ მდგომარეობაში?
დიახ არა

5. დაცულია ელექტროუსაფრთხოების წესები შენობის გარეთ განთავსებულ ელგაყვანილობასა და ელექტროდანადგარების ნაწილებზე?
დიახ არა ნაწილობრივ ✓

6. დაცულია ელექტროუსაფრთხოების წესები შენობის შიგნით განთავსებულ ელგაყვანილობასა და ელექტროდანადგარების ნაწილებზე?
დიახ არა ნაწილობრივ ✓

7. ხორციელდება თუ არა ელექტროფარებთან, ელექტრომრავებსა და გამშვებ აპარატურასთან წვადი (მათ შორის ადვილაალებადი) მასალებისა და ნივთიერებების დაწყობა-შენახვა?
დიახ არა ✓

8. ხორციელდება თუ არა ხანძარსაშიშ და ფეთქებადსაშიშ ზონებში ელექტროდანადგარების გამოყენება?
დიახ არა

9. დაცულია თუ არა ელექტროსადენების და კაბელების გადაბმების დაბოლოებები?
დიახ არა

პირები, შემუშავებულია თუ არა სახანძრო უსაფრთხოების სპეციალური წესები?

დიახ ☐ არა ☐

7. ადამიანთა მასობრივი თავშეყრის ობიექტებისათვის შემუშავებულია თუ არა ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოფისათვის პერსონალის მოქმედებების ინსტრუქცია?

დიახ ☐ არა ☐

8. დაცულია ფეთქებადსაშიში და ადვილადაალებადი მასალის გადატანისა და შენახვის წესი?

დიახ ☑ არა ☐

9. შენობა-ნაგებობებში ხანძარფეთქებადსაშიში მოწყობილობა და ხანძარფეთქებადსაშიში ნივთიერებების და მასალების შენახვის ადგილი აღნიშნულია თუ არა სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი ნიშნებით?

დიახ ☐ არა ☐

10. არის თუ არა ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები გამართულ მდგომარეობაში?

დიახ ☐ არა ☐ ნაწილობრივ

11. ობიექტზე განსაზღვრულია თუ არა ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების შენახვასა და მოქმედებისთვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირი?

დიახ ☑ არა ☐

12. აღირიცხება თუ არა ხანძრის ჩაქრობის პირველად საშუალების პერიოდული შემოწმება?

დიახ ☑ არა ☐

13. განთავსებულია თუ არა ცეცხლმაქრები თვალსაჩინო ადგილებზე?

დიახ ☑ არა ☐

14. საწარმოო ობიექტების ტერიტორიაზე არსებობს თუ არა გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგება?

დიახ ☑ არა ☐

14.1 არსებობს თუ არა სახანძრო სტენდი?

დიახ ☑ არა ☐

14.2 სრულყოფილად არის თუ არა სახანძრო სტენდი დაკომპლექტებული?

დიახ ☐ არა ☐ ნაწილობრივ

15. დაცულია თუ არა სახანძრო უსაფრთხოების წესები იმ სამუშაო ადგილებზე, რომლებიც დაკავშირებულია ღია ცეცხლის გამოყენებასთან და საშემდუღებლო სამუშაოებთან?

დიახ ☐ არა ☐

16. არსებობს თუ არა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები და დამცავი მოწყობილობები?

დიახ ☐ არა ☐

1. სარგებლობენ თუ არა დასაქმებულები სამედიცინო დაზღვევის მომსახურებით?
   დიახ ☑ არა ☐

2. არსებობს თუ არა საწარმოში საწარმოო ტრავმატიზმისა და უბედური შემთხვევის გამო ზიანის ანაზღაურების მექანიზმი?
   დიახ ☑ არა ☐

3. არსებობს თუ არა საწარმოში მოწყობილობებისა და მანქანა-დანადგარების პასპორტები (წარმოშობის სერთიფიკატები, მწარმოებლის საოპერაციო სახელმძღვანელო)?
   დიახ ☑ არა ☐

შენიშვნა:

* მავნე საწარმოო ფაქტორები: 1. მიკროკლიმატი (1.1 ჰაერის ტემპერატურა, 1.2. ჰაერის ტენიანობა, 1.3 სითბური გამოსხივება, 1.4. ჰაერის მოძრაობის სიჩქარე), 2. ხმაური, 3. ვიბრაცია, 4. განათება, 5. საწარმოო მტვერი, 6. მავნე ქიმიური ნივთიერებები (ჩამონათვალი), 7. ულტრაიისფერი გამოსხივება, 8. ლაზერული გამოსხივება, 9. ელექტრომაგნიტური გამოსხივება (9.1. სამრეწველო სიხშირის, 9.2. რადიოსიხშირის და სხვ.), 10. ულტრაბგერა, 11. ინფრაბგერა, 12. მაიონებელი გამოსხივება.

** ინდივიდუალური დაცვის საშუალებები:

1. სპეცტანსაცმელი: (1.1 მექანიკური ზემოქმედებისაგან, 1.2 მაღალი ტემპერატურისაგან, 1.3 არატოქსიკური მტვრისგან, 1.4 ზოგადი საწარმოო დაბინძურებისგან).
2. სპეცფეხსაცმელი: (2.1 მექანიკური დაზიანებისგან, 2.2 ვიბრაციისგან, 2.3 მაღალი ტემპერატურისაგან, 2.4 ელ. დენისგან, 2.5 ზოგადი საწარმოო დაბინძურებისგან).
3. ხელის დაცვის საშუალებები: (3.1 მექანიკური დაზიანებისგან, 3.2 ვიბრაციისგან, 3.3 მაღალი ტემპერატურისაგან, 3.4 ელ. დენისგან, 3.5 მტვრისა და არატოქსიკური ნივთიერებებისგან, 3.6 ნავთობპროდუქტებისა და საზეთ-მაცივებელი სითხეებისგან).
4. დერმატოლოგიური საშუალებები: (4.1ჰიდროფობული, 4.2 ჰიდროფილური, 4.3 კანის გამწმენდები).
5. სახისა და თვალის დამცავი საშუალებები: (5.1 დამცავი სათვალეები, 5.2 დამცავი ფარები: ა) თვალის, ბ) სახის; 5.3 მინები, სინათლის ფილტრები).
6. თავის დამცავი საშუალებები: (6.1 ზოგადი დანიშნულების ჩაჩქანი, 6.2 ხმაურისგან დამცავი ჩაჩქანი);
7. სმენის ორგანოების დამცავი საშუალებები: (7.1 ყურსაცმები; 7.2 ყურსადებები).

** შენიშვნა: ტერმინი ქიმიური უსაფრთხოება გულისხმობს ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ქიმიური ნივთიერებების მოკლე და გრძელვადიანი მავნე და გრძელვადიანი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებას მათი სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე (წარმოება, შენახვა, ტრანსპორტირება, განთავსება, გამოყენება და ნარჩენების მოცილება/გაუვნებლობა/უტილიზაცია). ILO კონვენცია 170, 1990წ. ჟენევა.